

საქართველო: ა. პ. შანიძე 1951 წ. 25 აპრილი

25 აპრილი

გთხოვთ,

და გთხოვთ და სხვათა თუ და გთხოვთ გთხოვთ  
ათი წერილი მკითხველს  
თავისუფლებისა და ჩვენ შესახებ

საქართველო ებრძოდა, რომ ზღაპრით გთხოვთ  
და სხვათა თუ და გთხოვთ გთხოვთ  
1951 წ. 25 აპრილი

**გობი თევზადე**

გთხოვთ და სხვათა თუ და გთხოვთ გთხოვთ  
გთხოვთ და სხვათა თუ და გთხოვთ გთხოვთ  
"გთხოვთ" და "გთხოვთ" და სხვათა თუ და გთხოვთ  
გთხოვთ და სხვათა თუ და გთხოვთ გთხოვთ  
გთხოვთ და სხვათა თუ და გთხოვთ გთხოვთ

გთხოვთ და სხვათა თუ და გთხოვთ გთხოვთ

ათი წერილი მკითხველს  
თავისუფლების და ჩვენ  
შესახებ

გიგი თევზაძე

2019

გიგი თევზაძე  
ათი წერილი მკითხველს თავისუფლების და ჩვენ შესახებ  
რედაქტორი ნესტან რატიანი  
ტექსტი © გიგი თევზაძე, 2019  
ყველა უფლება დაცულია

Gigi Tevzadze  
Ten Letters to the Reader on Liberty and Ourselves  
Editor Nestan Ratiani  
Text © Gigi Tevzadze, 2019  
All rights reserved.

## სარჩევი

შესავალი.....	4
წერილი პირველი: ადამიანი არის ის, რისი სურვილებიც მას აქვს.....	7
წერილი მეორე: ადამიანი არის ის, რასაც სწავლობს.....	14
წერილი მესამე: როდის ვსწავლობ საკუთარი სურვილების მართვას და როდის ვსწავლობ, როგორ უნდა მართონ ჩემი სურვილები სხვებმა.....	18
წერილი მეოთხე: როგორ უნდა იყოს მოწყობილი სახელმწიფო, რომელიც საშუალებას მოგცემს, კარგად ისწავლო საკუთარი სურვილების მართვა.....	27
წერილი მეხუთე: ჩემი „სხვა“ - სახელმწიფო კონტროლი სურვილების იდენტიფიკაციის და განხორციელების გზაზე.....	32
წერილი მეექვსე: გადასახადები, პოლიცია, სასამართლო და მმართველობის დონეები.....	37
წერილი მეშვიდე: კერძო საკუთრება, სახელმწიფო საკუთრება და საზოგადოებრივი საკუთრება.....	42
წერილი მერვე: საგარეო პოლიტიკა.....	53
წერილი მეცხრე: არჩევნები და ხელისუფლებები.....	58
წერილი მათათ: მკითხველს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს.....	66

## შესავალი

ამ წერილების მიზანია, დავიწყოთ გარკვევა იმ გარემოში, რომელშიც ვცხოვრობთ. ვფიქრობ, რომ წერილის ფორმა, რომელიც პოტენციურ დიალოგს გულისხმობს, ყველაზე მოსახერხებელია. გასარკვევი კი ბევრია: დაწყებული ზოგადსაერთოთი (რას ნიშნავს იყო ადამიანი? რა არის საზოგადოება/თემი? არის თუ არა სახელმწიფო ძალადობის იარაღი? რაში გვჭირდება ის? ადამიანი ხომ დაბადებით თავისუფალია? ადამიანს ხომ ბუნებითი უფლებები აქვს? სახელმწიფო თუ გვიცავს ერთმანეთის მიმართ აგრესიისგან, მაშინ რატომ არ უნდა არსებობდეს ის? სახელმწიფო ხომ მჩაგვრელების და ექსპლუატატორების მიერ თავს მოხვეული ინსტრუმენტია?..), დამთავრებული ჩვენი, ქართველების მიერ დასმული ყოველდღიური კითხვებით (რუსეთი თუ დასავლეთი? რუსეთი თუ ამერიკა? თუ ნეირტალიტეტი? რატომაც არა რუსეთი? რაში მიშლის ხელს „რუსეთუმეობა“? რატომ ამერიკა? მერე ჩვენი ისტორია და იდენტობა? რომ წაგვართვან? კი ბატონო, რუსეთი არა, მაგრამ ჩვენი პროდუქციის გასაღების ბაზარი რომაა? რა

ვუყოთ ღვინოს და ხილს? რატომ აქვთ უმცირესობებს უფლებები? ვინ აძლევს მათ უფლებას, რომ თავისი თავი გამოხატონ? ბოლობოლო, ეს ხომ რუსეთის/ამერიკის მიერ თავს მოხვეულია და ჩვენ, ქართველებს, ეს ხომ არ შეგვეფერება? საერთოდ, რა საჭიროა ქართული სახელმწიფო?..).

სამწუხაროდ, დღეს, არა მარტო საქართველოს განათლების ფორმალური და არაფორმალური სისტემები, არამედ მსოფლიოში ყველაზე წარმატებული განათლების სისტემებიც კი არ აჩვენებენ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემ გზებს და მხოლოდ უმსჯელობებზე დამყარებული და დაზეპირებული მზა პასუხებით შემოიფარგლებიან.

დარწმუნებული ვარ, კითხვებზე, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, ამ ტექსტის მკითხველ უმრავლესობას შეიძლება არცთუ ისე მყარი, მაგრამ პასუხი მაინც აქვს. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ პრობლემებზე საუბრისას, თანამოაზრეთა შორისაც კი, კამათი და დაპირისპირება გარდაუვალია, რასაც, გავრცელებული,

მიღებული საღი აზრის საწინააღმდეგოდ, უმრავლეს შემთხვევებში სულაც არ მივყავართ ჭეშმარიტებამდე.

ამ წერილების ადრესატად შენი, მკითხველის არჩევის მიზანია, რამენაირად გამოვნახოთ ის გზა, რომელზე სიარულითაც შევძლებთ არა მარტო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას, არამედ საერთო მსჯელობისათვის მეტ-ნაკლებად მყარი საფუძველის გამოძებნას დადებითი და უარყოფითი მხარეების ერთად დასანახავად და არა ერთმანეთთან დასაპირისპირებლად.

## წერილი პირველი: ადამიანი არის ის, რისი სურვილებიც მას აქვს

გამარჯობა,

სანამ მსჯელობას და საკუთარ თავსა და გარემოში გარკვევას დავიწყებდეთ, უნდა ჩამოვაცალიბოთ დებულება, რომელსაც ყველანი გავიზიარებთ და დავეთანხმებით. ვფიქრობ, ასეთი ამოსავალი დებულებაა, რომ ჩვენ ყველას გვინდა ჩვენი სურვილების აღსრულება. ეს ბოლო ფრაზა ტავტოლოგიაა: სურვილის არსებობა უკვე გულისხმობს მისი აღსრულების სურვილს. შეუძლებელია, გქონდეს სურვილი და არ გინდოდეს მისი აღსრულება. ამ დებულების წაკითხვისას, გთხოვ, მსჯელობა არ გააგრძელო „მაგრამ“-ით. ამ „მაგრამ“-ს და სხვა „მაგრამ“-ებს თავისი საკუთარი ისტორია აქვთ, რომელთა შესახებაც ალბათ მომდევნო წერილებში მოგწერ.



„სურვილების აღსრულება“ ჩვენი ინსტინქტია, ჩვენ ვიბადებით სურვილების აღსრულების ინსტინქტით, ანუ სურვილით, გავაკეთოთ ყველაფერი ის, რაც გვინდა, ისე, რომ მინიმალური წინააღმდეგობა შეგვხვდეს ჩვენი სურვილების განხორციელების გზაზე. შემდეგ საზოგადოება, სხვადასხვა სისტემის საშუალებით, გვასწავლის ჩვენი სურვილების მიღწევის გზებს: მაგალითად, იმას, რომ, სურვილების განხორციელება „იმწამსვე“ შეუძლებელია, რომ არაფერი არ დაშავდება, თუკი ცოტათი გადაავადებ სურვილის აღსრულებას, რომ სხვა ადამიანიც უნდა გაითვალისწინო სურვილის აღსრულების გზაზე და ა.შ.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ ვიბადებით, როგორც სურვილების ერთიანობები, სისტემები, კომპლექსები. ეს მეცნიერების მიერაა დადასტურებული. მეცნიერების მოხმობა არცაა საჭირო: ახალდაბადებულ ბავშვს მხოლოდ სურვილები აქვს. ამიტომ, სამყაროში ჩვენი პირველი მოცემულობები სურვილებია, რომელიც შემდეგ, ჩვენს ზრდასთან ერთად, რთულდება და რომელთა აღსრულებასაც მთელი ცხოვრება ვანდომებთ.

ცნება „თავისუფლებაც“ ხომ სურვილების აღსრულების გამოხატვაა: ჩვენი მთავარი და გარდაუვალი მისწრაფება დაბადებიდან არის ჩვენი სურვილების აღსრულება - მივალწით იმას, რაც გვინდა, იქნება ეს საჭმელი, სექსი, სითბო, ფული, Ph.D ხარისხი, თუ სხვა რამ.

ჩვენი გარემო, რომელშიც ჩვენ დაბადებისთანავე ვხვდებით, გვასწავლის, როგორ უნდა მივალწით სურვილების აღსრულებას. ასევე, როგორც უნდა მოვახდინოთ ჩვენი სურვილების იდენტიფიკაცია - გავარკვიოთ, რა და როგორ გვინდა. ზოგი საზოგადოება/თემი ამ გზაზე წარმატებულია, ზოგი - არა. ეს სწავლება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დავიზიანებთ საკუთარ თავს და დავაზიანებთ სხვებს.

ჩვენი გარემო არა მარტო სურვილების აღსრულების გზებს გვასწავლის, არამედ ამავე დროს, გვკარნახობს, თუ რა სურვილები შეიძლება გვქონდეს. რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ ჩვენი გარემო სავსეა სურვილების შემოთავაზებებით. ეს სოციალური ფაქტია, და ამას

ვერსად ვერ წაუვალთ. ჩვენი სურვილების იდენტიფიკაცია ჩვენს გარემოში არსებული სურვილების შემოთავაზებების ფონზე მიმდინარეობს.

ყველა სწავლება, რომელიც შეიძლება ჩვენს სამყაროში შეგვხვდეს, საბოლოო ჯამში, თავისი არსით, სურვილების იდენტიფიკაციის, მართვის და აღსრულების შესახებ სწავლებაა.

სურვილის შესრულება - ჩვენი ორგანიზმისთვის, ჩვენი ტვინისთვის - სასიცოცხლო აუცილებლობაა: სურვილი სხვა არაფერია, თუ არა ტვინში კონკრეტული ადგილების აღზნება, რომლის ჩაქრობა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ტვინის დეგრადაცია გველოდება - აღზნებული ტვინი, ჩაქრობის გარეშე, უბრალოდ „გადაიწვება“, დეგრადირებას დაიწყებს, დაემართება სხვადასხვა ტიპის აშლილობა. ეს აშლილობა, როგორც წესი, გამოიხატება სხვადასხვა „ჩამქრობების“ ძეგნაში, რაც შეიძლება იყოს აგრესიული ქცევა, ნარკომომხმარებლობა, ალკოჰოლიზმი. აღზნებული ტვინის ჩაუქროლობა იწვევს დეპრესიას,

ასოციალურობას, და ხშირად - ანტიასოციალურ და ანტიჰუმანურ ქმედებებს.

ტვინის ალგუნებული ადგილების ჩაქრობა აუცილებელია. აღზრდა, სწავლა, განათლება გვეუბნება, თუ როგორ უნდა ჩავაქროთ ეს ალგუნებული, ანთებული ადგილები.

როგორი სწავლა-განათლებაც არ უნდა მივიღოთ, ჩვენი მთავარი არსი - ის, რომ ჩვენ სურვილების კომპლექსები ვართ, უცვლელია. რეფლექსური ცხოვრების დაწყების შემდეგ გვიყალიბდება მსოფლმხედველობა, რომლის ხერხემალი არის სწრაფვა, მაქსიმალურად აღვისრულოთ ჩვენი სურვილები, ანუ ვიყოთ თავისუფლები: თავისუფლებისკენ სწრაფვა სხვა არაფერია, თუ არა სურვილი, მაქსიმალურად სწრაფად და მინიმალური ხელისშემშლელის პირობებში ჩავაქროთ ტვინის ალგუნებული ადგილები, ანუავისრულოთ სურვილები. სულ ეს არის. დანარჩენი, რაც თავისუფლების შესახებ ვიცით, სწავლების და აღზრდის პროცესში წარმოქმნილი ფორმები და ფორმულებია.

საზოგადოებები, რომლებიც გვასწავლიან ჩვენი სურვილების მართვას, სხვადასხვანაირია. ზოგი გვასწავლის, რომ არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც, საკუთარი სურვილების აღსრულებისკენ სწრაფვაში მხოლოდ უნდა გამოიყენო, ზოგი - რომ ყველა ადამიანი ამავე დროს არის მიზანი და მათი გამოყენება, მხოლოდ საშუალებად, დაუშვებელია. არსებობს შუალედური საზოგადოებებიც. მაგრამ, ვფიქრობ, მეთანხმებით, რომ ყოველი ჩვენგანის სურვილი, ჩვენი ცხოვრების დასაწყისში მაინც, არის სურვილი, მაქსიმალურად თავისუფლები ვიყოთ - ანუ, მაქსიმალურად სწრაფად და ადვილად ავისრულოთ სურვილი - ჩავაქროთ აღზნებული ტვინი.

შესაბამისად, თავისუფლებისკენ სწრაფვა, სწრაფვა, რაც შეიძლება ნაკლები წინააღმდეგობით ავისრულოთ ჩვენი სურვილები, ჩვენი უპირობო, გარდაუვალი და ფიზიოლოგიური მახასიათებელია.

თუკი ამას ვთანხმდებით, შეგვიძლია გავაგრძელოთ მსჯელობა და ვიკითხოთ: როგორ არის შესაძლებელი ყოველი ჩვენგანის მაქსიმალური თავისუფლება შესაძლებელი? ანდა, უფრო ზუსტად, როგორ არის შესაძლებელი, ჩემი სურვილები მაქსიმალურად სწრაფად და შეუფერხებლად აღსრულდეს?

## წერილი მეორე: ადამიანი არის ის, რასაც სწავლობს

გამარჯობა,

წინა წერილში ყოველი ჩვენგანის ძირითადი მახასიათებლის შესახებ მოგწერე, რაც ჩვენი სურვილების მაქსიმალურად სწრაფად და წინააღმდეგობის გარეშე განხორციელება. მსჯელობის გზით, მივედი იდეამდე, რომ ძირითადი საქმიანობა, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ვეწევი, არის სურვილების იდენტიფიკაცია და მათი აღსრულება/განხორციელება. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ჩვენი სურვილების მართვის და აღსრულების სწავლა არის მთავარი რამ, რასაც საზოგადოება, ანუ, ჩვენ, ვახორციელებთ საკუთარი თავის მიმართ.

ჩვენ არ ვიბადებით, როგორც რაციონალურად მოაზროვნე ადამიანები. ჩვენ ვიბადებით, როგორც სურვილების კომპლექსი. ამიტომ, ადამიანი შეუძლებელია თუნდაც მცირე საზოგადოების/თემის

გარეშე, რომელიც მას, ამ ახალდაბადებულ სურვილების კომპლექსს, ასწავლის, როგორ უნდა მართოს თავისი სურვილები, რა შეიძლება, რა არ შეიძლება, სად გადის ადვილი და უსაფრთხო გზა სურვილების დასაკმაყოფილებლად. ეს „სწავლება“, ჩვენი ცხოვრების დასაწყისში, მართლაც სწავლებით - სახლში მიღებული აღზრდით, სკოლაში სიარულით - გამოიხატება. როდესაც ვიზრდებით, ეს სწავლება იცვლება და ჩვენ უკვე ჩვენთვის უცნობი ადამიანების მიერ დადგენილ სურვილების აღსრულების გზებს ვეცნობით.

ასეთი სწავლება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ან საკუთარ თავს, ან სხვას დავაზიანებთ, რაც საბოლოოდ ისევ საკუთარი თავის დაზიანებად შეიძლება შემოგვიბრუნდეს. საზოგადოების მიერ დაწესებული აკრძალვები და დაშვებები გვასწავლიან, სად გადის ჩვენი სურვილების აღსრულების, ანუ თავისუფლების გზა.

ამიტომ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ადამიანის შემდეგი მნიშვნელოვანი განსაზღვრება სწავლას



უკავშირდება. მართალია, ადამიანი არის ის, რა სურვილებიც აქვს, მაგრამ ამავე დროს ადამიანი არის ის, რასაც სწავლობს.

უპირველეს ყოვლისა, სწავლება, სწავლის სისტემა გამოხატავს საზოგადოების გამოცდილებას თავისუფლების, ანუ სურვილების განხორციელების მიმართ. იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანი მაქსიმალურად თავისუფალია, სწავლება, ერთი მხრივ, მიმდინარეობს მინიმალური აკრძალვებით, ხოლო სწავლების საერთო, აუცილებელი შინაარსი მინიმალურადაა განსაზღვრული. ასეთ სისტემებში აკრძალვები ადგენენ მხოლოდ იმ საზღვრებს, რომელთა გადალახვაც, ადამიანის მიერ საკუთარი სურვილების განხორციელებისას საზოგადოების სხვა წევრებს და, საბოლოოდ, მასვე მოუტანს ზიანს.

იმ საზოგადოებებში, რომლებიც რეპრესიული მექანიზმებით გამოირჩევიან, განათლების სისტემის მიერ წარმოებული აკრძალვები და დაშვებები ემსახურებიან ერთ მიზანს: რაც შეიძლება მაქსიმალურად შეიზღუდოს

ყოველი ადამიანის სურვილების განხორციელება და უმრავლესობა გამოყენებულ იქნას უმცირესობის (მმართველების) სურვილების განხორციელებისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი უნდა იყოს იმის გარკვევა, განათლების მართვის რომელი წესები და აკრძალვები უზრუნველყოფენ ადამიანის სურვილების განხორციელების მაქსიმალურ შესაძლებლობებს და რომლები - რეპრესიას და თავისუფალი მოქმედების არეალის მაქსიმალურ შეზღუდვას.

შემდეგ წერილში ამ წესების და კანონების შესახებ მოგწერ.

**წერილი მესამე: როდის ვსწავლობ საკუთარი სურვილების მართვას და როდის ვსწავლობ, როგორ უნდა მართონ ჩემი სურვილები სხვებმა**

გამარჯობა,

როგორც წინა წერილებში მოგწერე, ადამიანი იბადება, როგორც სურვილების კომპლექსი, რომელსაც შემდეგ ასწავლიან, თუ როგორ უნდა მართოს თავისი სურვილები ისე, რომ არც საკუთარი თავი და არც სხვა არ დააზიანოს, თანაც, მაქსიმალურად მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ცხადია, მიზნების/სურვილების იდენტიფიკაციაც ამ სწავლების ნაწილია.

ვინ უნდა გადაწყვიტოს, რა და როგორ უნდა ასწავლოს ბავშვს და, შემდგომ უკვე, მოზარდს? თუკი სწავლის თავდაპირველი მიზანია, ბავშვს ასწავლოს საკუთარი სურვილების მართვა, ცხადია, ამის შესახებ მეტი ცოდნაც და გამოცდილებაც იმ საზოგადოებას/თემს აქვს,

რომელშიც ბავშვი იბადება და იზრდება. რატომ? პასუხი მარტივია: სურვილების წარმოშობა და განვითარება ხომ ყოველ კონკრეტულ საზოგადოებაში თავისებურად ხდება? შესაბამისად, ამ საზოგადოებაში უფრო კარგად იცინა მათ სოციალურებში სურვილების შესაძლებლობების შესახებ, ვიდრე - სხვაგან.

როგორც გამოცდილი მკითხველი, მეტყვი, რომ თვითონ ამ საზოგადოებებშიც კონკრეტული ვითარების და ისტორიული გამოცდილების ამბავია, ვისი გადასაწყვეტი იქნება განათლების საქმე, ინდივიდის თუ საზოგადოების. მაგრამ, ისიც ხომ ცხადია, რომ სწორედ იმის გამო, რომ სურვილები, ადამიანის ცხოვრების დასაწყისში მაინც, კონკრეტულ გარემოში და ამ გარემოს გავლენით წარმოიშობა და ის, თუ რა და როგორ უნდა ვასწავლოთ, ყოველი საზოგადოების შიგნით უნდა წყდებოდეს და არა მის გარეთ.

მაგრამ, ხომ შეიძლება, თვითონ საზოგადოების შიგნით ისე მოეწყოს განათლება, რომ სურვილების მართვის და იდენტიფიკაციის სწავლებისას მხოლოდ ამ

საზოგადოების/თემის მკაცრად დადგენილი წესები და კანონები ისწავლებოდეს? ხომ შეიძლება, ისე მოეწყოს თემი, რომ სკოლა სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის ერთ კონკრეტულ წესს ასწავლიდეს, ხოლო ამ წესის სწავლებიდან გადახვევა მკაცრად ისჯებოდეს? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ამ შემთხვევაში, გამოსავალია, ისე მოეწყოს განათლების სისტემა, რომ ამ საზოგადოების მმართველების ხელში და უშუალო დაქვედვებაში (თუნდაც ეს მმართველები საერთო სახალხო არჩევნებით იყვნენ თავიანთ ადგილზე) არ უნდა მოექცეს არცერთი საგანმანათლებლო ინსტიტუტი. იმიტომ, რომ მმართველების ხელში სურვილების მართვის სწავლების მოქცევა ყოველთვის განაწყობს მმართველებს, მით უმეტეს, არჩეულ მმართველებს, თავად დაადგინონ სწავლების შინაარსიც და ფორმაც - მათ წინაშე გაშლილი მრავალი შესაძლებლობიდან ერთს მიანიჭონ უპირატესობა და სრულიად კეთილი განზრახვით ის გაავრცელონ, რაც, მათი აზრით, სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის, ანუ თავისუფლების მიღწევის საუკეთესო გზაა.

ეს სწორედ ის ვერსიაა, რომელიც გვასწავლის არა საკუთარი სურვილების იდენტიფიკაციას, არამედ სხვისი სურვილების იდენტიფიკაციას და მათ მიხედვით ცხოვრებას. როგორც ზემოთ მოგწერე, ასეთ, სხვისი სურვილების აღსრულების მსწავლელ სისტემებში, ადამიანი, საექვოა, ბედნიერი იყოს და მეტიც, საექვოა, მისი ცხოვრება ტვინის დეგრადირებით არ დასრულდეს: მხოლოდ ისინი გადარჩებიან, ვისი სურვილები მართლაც დაემთხვევა სხვების მიერ მათ თავს მოხვეულ სურვილებს. დანარჩენები, ვისთანაც ეს დამთხვევა არ მოხდება, განწირულები იქნებიან სხვადასხვა დონის ფსიქიკური დეგრადაციისათვის.

მაშასადამე, განათლების საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ საზოგადოების/თემის, თუნდაც არჩეულმა, მმართველებმა ვერ შეძლონ ვერცერთი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა: ეს უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სწავლების მრავალფეროვნებას, ხოლო, მეორე მხრივ, მეტ შესაძლებლობას, ამ თემში მყოფმა ყველა ადამიანმა

იპოვოს საკუთარი სურვილების მართვის შესწავლის  
ოპტიმალური გზა.

მაგრამ, იკითხავ შენ, როგორი უნდა იყოს ამ  
მმართველების როლი განათლების მიმართ ასეთ  
საზოგადოებაში? პასუხი ნათელია: იმის  
უზრუნველყოფა, რომ ამ თემში მცხოვრებმა სხვადასხვა  
ადამიანებმა „ერთ ენაზე ილაპარაკონ“, ანუ უბრალოდ  
გაუგონ ერთმანეთს. რომ არა ეს, ადრე თუ გვიან, საერთო  
„ბირთვის“ გარეშე არსებული განათლების პროგრამები  
საკუთარი, მცირე საზოგადოებების/თემების  
პროდუცირებას დაიწყებენ, რაც სურვილების მართვის  
სწავლებას ჯერ ოჯახებამდე დაიყვანს, ხოლო შემდეგ  
საერთოდ გააქრობს საზოგადოებას.

ამიტომ, თემის მმართველების ამოცანა სურვილების  
მართვის სწავლების საერთო საფუძვლის შექმნაა. ეს  
საფუძველი არც ძალიან პატარა და ფორმალური, და არც  
ძალიან დიდი და ყოვლისმომცველი არ უნდა იყოს.  
მხოლოდ ასეა შესაძლებელი, ვისწავლოთ არა სხვისი

სურვილების მიღწევის გზები, არამედ საკუთარი სურვილების მართვა.

მაგრამ, თუკი ყველა საზოგადოება და თემი თავის შინაარსს და მიზნებს ჩადებს სასწავლო პროგრამაში, ეს ხომ თავისუფლებისკენ სწრაფვის შეზღუდვა იქნება? თუკი საზოგადოება/თემი, მაქსიმალურად თავისუფალი შინაარსის სკოლების შემთხვევაშიც კი, მხოლოდ საკუთარ „ბირთვს“ დაადგენს, ხომ შეიძლება, ამან ხელი შეუშალოს ადამიანს თავისი სურვილები ამ საზოგადოებისა და თემის გარეთ მართოს? მაშინ, ხომ შესაძლებელია, რომ ადამიანმა ძალიან ვიწრო პროფილის განათლება მიიღოს, რაც ხელს შეუშლის მას, დატოვოს თავისი მშობლიური თემის საზღვრები და საკუთარი პოტენციალი სხვაგან გამოიყენოს? ნამდვილად ასეა. ამიტომ, საჭიროა კიდევ ხალხი, რომლებიც ამ და ყველა სხვა, ერთმანეთთან ტრადიციით თუ სხვა წესებით ახლოს მყოფი თემების და საზოგადოებების (ქვეყნის, როგორც ვუწოდებთ დღეს) წარმომადგენლები იქნება: მათი ვალდებულებაა, ყველა საზოგადოებას და თემს დაუდგინოს ყველასთვის საერთო ამოცანები, მხოლოდ



ერთი მიზნის შესასრულებლად: ბავშვს, რომელიც კონკრეტულ თემში/საზოგადოებაში მიიღებს განათლებას, ანუ ისწავლის საკუთარი სურვილების იდენტიფიცირებას და მართვას, არ უნდა გაუჭირდეს იმავე ქვეყნის სხვა საზოგადოებაში საკუთარი სურვილების მართვა/განხორციელება.

ცხადია, საუკეთესო ვერსიაა, როდესაც ეს ამოცანები ადამიანს შეაძლებინებს, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მართოს საკუთარი სურვილები საკუთარი თავის და სხვების დაუზიანებლად. ეს სასურველია, თუმცა სახელმწიფოს მთავარი ამოცანა განათლების სისტემაში არის იმ საერთო შინაარსის და მიზნების დადგენა, რომელიც არ გამოიწვევს კონკრეტულ საზოგადოებასა თუ თემში გაზრდილი ადამიანის გაუცხოებას იმავე ქვეყნის სხვა საზოგადოებასთან, მეტიც - რომელიც დაეხმარება მას, ქვეყნის ყველა საზოგადოებაში, თემში შეძლოს საკუთარი სურვილების წარმატებული მართვა.

კრიტერიუმი, თუ როგორ უნდა დადგინდეს სწავლების ეს აუცილებელი, საყოველთაო შინაარსი, ბირთვი, ისევ და ისევ, უნდა იყოს პიროვნების მაქსიმალურად შესაძლებელი თავისუფლების შესაძლებლობის განხორციელება: მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წერა-კითხვის კონკრეტული დონე, კონკრეტული ტექსტის, მაგ. „ვეფხისტყაოსნის“ განხილვა, მათემატიკის ცოდნის სპეციფიკური დონე, ბიოლოგიური ორგანიზმების მუშაობის წესები, მაგრამ, არამც და არამც, ძალიან კონკრეტული შინაარსები, რომელიც პიროვნებას, საკუთარი სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლის მაგივრად, სხვისი სურვილების შემსრულებლად აქცევს.

ეს არის, როგორც ჩანს, ერთადერთი გზა თანამედროვე სამყაროში, ადამიანებმა ისწავლონ საკუთარი სურვილების მართვა და იდენტიფიკაცია ისე, რომ ეს სწავლება არც სხვისი სურვილების შესრულების სწავლებად გადაიქცეს და არც საზოგადოების, როგორც სურვილების მართვის მასწავლებლის, დეზინტეგრაცია გამოიწვიოს. როგორც მოგწერე, ეს ორი უკანასკნელი გზა

გარდაუვლად მიდის უმრავლესობის ტვინის დეგრადაციამდე: შეუსრულებელი, მით უმეტეს, არაიდენტიფიცირებული სურვილი, იწვევს ტვინის მუდმივ გაღიზიანებულ მდგომარეობაში ყოფნას, ხოლო ამ ტვინის „მატარებელი“ ცდილობს, ყველანაირი ხერხით ჩააქროს აღზნება: იქნება ეს ალკოჰოლი, აგრესია, ნარკოტიკები თუ სხვა რამ.

შემდეგ წერილში მოგწერ იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელიც სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების ამ სისტემიდან გამომდინარეობს.

**წერილი მეოთხე: როგორ უნდა იყოს მოწყობილი  
სახელმწიფო, რომელიც საშუალებას მოგცემს,  
კარგად ისწავლო საკუთარი სურვილების მართვა**

გამარჯობა,

წინა წერილებში მოგწერე, რომ, ადამიანის აგებულებიდან და ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, საკუთარი სურვილების მართვის სწავლა ჩვენი ცხოვრების აუცილებელი ნაწილია. ის ამავე დროს წარმოადგენს სწავლას, თუ როგორ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად თავისუფალი, ანუ როგორ უნდა ავისრულოთ ჩვენი სურვილები. ასევე მივედით დასკვნამდე, რომ იმისათვის, რომ სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლება მაქსიმალურად ადეკვატურად და პროდუქტიულად განხორციელდეს, არცერთი სასწავლო დაწესებულება არ უნდა იყოს არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებების/თემების მმართველების ხელში. თუმცა ამ მმართველებმა უნდა დაადგინონ სასწავლო პროცესის თავ-თავისი წილი

„ბირთვი“: იმისათვის, რომ მოსწავლეები არ შეიზღუდონ მხოლოდ საკუთარი თემის/საზოგადოების რეალიებით და საკუთარი თავისუფლების განხორციელება მეტ-ნაკლებად ყველგან შეძლონ.

როგორი უნდა იყოს ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები მმართველების (დავაზუსტოთ: არც ცენტრალური, და არც ადგილობრივი ხელისუფლების) ხელში/მართვაში არ იყვნენ? უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა იყოს დაცული კერძო საკუთრების სისტემა, რომლის გარანტიც ყველა დონეზე სახელმწიფო უნდა იყოს. კერძო საკუთრება სხვადასხვა ფორმისაა. ამიტომ, სახელმწიფო და თემი უნდა უზრუნველყოფდეს კერძო საკუთრების ყველა ფორმის დაცვას.

კერძო საკუთრების მრავალი ფორმა საჭიროა იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების მრავალი მოთხოვნილება და პირობა დააკმაყოფილოს, და მეორეც, რაც ვფიქრობ, მთავარია, შეესაბამოს საზოგადოებაში არსებულ სოციალურ

მდგომარეობათა მრავალფეროვნებას: მაგალითად, ღარიბი, სპეციალური გარემოს საჭიროების მქონე, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანების არსებობას. ცხადია, რომ ყველა ამ სოციალურ მოდუსთან მიმართებით, სახელმწიფოც და საზოგადოებაც სხვადასხვანაირად უნდა რეაგირებდეს - საგადასახადო და სხვა შეღავათებით. კრიტერიუმი კი, ამ შეღავათების დაწესებისას, მხოლოდ ერთი უნდა იყოს: რამდენად უწყობს ხელს ესა თუ ის წესი ადამიანის მიერ საკუთარი სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნების მიერ საკუთარი თავისუფლების შესაძლებლობებში გარკვევას?

სკოლები და სხვა სასწავლო დაწესებულებები, რა თქმა უნდა, გარემოდან იზოლირებულად არ არსებობენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებთანაც სკოლებს ურთიერთობა აქვთ, სკოლებისთვის კომფორტულად და ადეკვატურად იყოს მოწყობილი: მაგალითად, თუკი სკოლას უნდა მერხის ყიდვა ან ეროვნულ პარკში გასეირნება, ამ საკითხებზე გადაწყვეტილება არ უნდა მიიღებოდეს

სადღაც შორს და რთულად, არამედ იქვე და მარტივად, იმავე საზოგადოებაში, სადაც სკოლაა.

ეს კი იმას მეტყველებს, რომ საზოგადოებაც ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც სკოლა - მრავალფეროვანი, მრავალფეროვნად დარეგულირებული კერძო საკუთრებების სისტემა. ეს პრინციპი რომც არ იყოს, მართვის ზოგადი პრინციპებიდან და სკოლის საქმიანობის ეფექტიანობის მოთხოვნიდანაც ასე გამომდინარეობს: კერძო დაწესებულებაში გადაწყვეტილება ხომ გაცილებით უფრო სწრაფად მიიღება, ვიდრე სახელმწიფო ორგანიზაციებში.

ბუნებრივია, რომ კერძო საკუთრებების მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალფეროვან გადასახადებს და, შესაბამისად, ამ გადასახადების ძლიერ და ეფექტიან კონტროლს: მაგალითად, კერძო ორგანიზაციას, რომლის მიზანიც დარიბების სასკოლო განათლებით უზრუნველყოფაა, გადასახადების სხვა რეჟიმი უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმ სკოლას, რომელიც საშუალო ფენას, ან მდიდრებს ემსახურება. ასევე იმ კერძო

ორგანიზაციის გადასახადები, რომელიც თავს ივალდებულებს, რომ მიღებულ მოგებას ისევ ორგანიზაციის განვითარებაში დააბრუნებს, უნდა განსხვავდებოდეს იმ კერძო ორგანიზაციის გადასახადებისაგან, რომლის მფლობელებიც მიღებული მოგების ერთმანეთში განაწილებას ან სხვა მიზნებით გამოყენებას გეგმავენ.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ჩვენი სურვილების კომპლესები ვართ, დიდი შანსია, საკუთარი სურვილების განხორციელების გზაზე, ვინმეს ამ ვითარების საკუთარი სურვილების აღსრულების სასარგებლოდ გამოყენება მოუნდეს. ამიტომ, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი კონტროლი, რომ სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლება/სწავლის და განხორციელების სისტემა არ მოიშალოს.



**წერილი მეხუთე: ჩემი „სხვა“ - სახელმწიფო  
კონტროლი სურვილების იდენტიფიკაციის და  
განხორციელების გზაზე**

გამარჯობა,

წინა წერილში მოგწერე სახელმწიფო მოწყობის პრინციპის შესახებ, რომელიც სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების ოპტიმალური სისტემის უზრუნველყოფზეა ორიენტირებული: სახელმწიფოს მოწყობა უნდა დაემყაროს საგანმანათლებლო სისტემის აგებულებას, რომელიც ემსახურება სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების მრავალფეროვნებას. ისიც მოგწერე, რომ სახელმწიფოს მმართველობითი ერთეული უნდა შემოისაზღვროს იმ სოციალური, კულტურული და ტრადიციული ერთობით, რომელიც ქმნის სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის კონკრეტულ გარემოს, ხოლო ამ სისტემის ეფექტიანობის გარანტი კერძო საკუთრების მრავალფეროვნებაა. ამ მსჯელობის გავლით

მივედი გადასახადების თემამდე, ანუ საკითხამდე, რომ, თუკი სურვილების იდენტიფიკაცია/მართვის სწავლებისათვის კერძო საკუთრების მრავალფეროვნებაა საჭირო, მაშინ, საჭიროა, ამ მრავალფეროვანი ორგანიზაციების გადასახადებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მაგრამ საერთოდ რა საჭიროა გადასახადები?

ყველამ ვიცით, რომ გადასახადი არის თანხა, რომელსაც ჩვენ ვუხდით ხელისუფლებას იმისათვის, რომ ხელისუფლებამ რაღაც უზრუნველყოს. რა არის ეს რაღაც? ნუთუ ჩვენ, განათლებულ ადამიანებს, არ შეგვიძლია თავად უზრუნველვყოთ და მოვაგვაროთ ეს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე? რატომ ვუხდით გადასახადებს სახელმწიფოს? მოვილაპარაკოთ და ჩვენ თვითონვე გავეუკეთოთ ამ „რაღაცას“ ორგანიზება. რა, ვერ შევძლებთ?

ვერა, ვერ შევძლებთ. და ამ პასუხის ახსნა ისევ და ისევ ადამიანის, როგორც სურვილების კომპლექსის განსაზღვრებაშია. საქმე ისაა, რომ ადამიანი

გადაწყვეტილებას არ იღებს რაციონალურად, ანუ მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ის ასეთი გადაწყვეტილების მიღებას სწავლობს. ამის სწავლება სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების სისტემის ნაწილია. ამ დროს, მას აქვს საკუთარი სურვილების აღსრულების თანდაყოლილი სწრაფვა. თან გაიხსენე, რომ ეს სწრაფვა რეგულირდება აკრძალვა/დაშვებებით, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობს და ახორციელებს. შესაბამისად, თუკი იმაშიც ვთანხმდებით, რომ ინსტიტუტური სწრაფვა აღემატება დასწავლილს, მაშინ, ცხადია, რატომ გვჭირდება „სხვების კონტროლი“: სხვების კონტროლმა, ანუ დაწესებულმა აკრძალვებმა უნდა აჯობოს ჩვენს შინაგან მისწრაფებას, მყისიერად განვახორციელოთ ჩვენი სურვილი.

აქედან გამომდინარე, გადასახადებს და სამართლის დაცვას უნდა ახორციელებდეს „სხვა“ და ეს დაცვა და გადასახადების კონტროლი არ უნდა იყოს ნებაყოფლობითი. სინამდვილეში, „სხვა“ ჩემთვის არის სწორედ ის, ვინც მაკონტროლებს და არ მაძლევს

საშუალებას გავიძე კონკრეტული ჩარჩოების გარეთ ჩემი სურვილების აღსრულების პროცესში. ყველა, ვინც ამაში ხელს არ მიშლის, ჩემიანი და მე-ა.

განსხვავებას „ჩემსა“ და „სხვას“ შორის შემდეგი ინსტინქტური დიქტომია უდევს საფუძვლად: ყველაფერი, რაც წინ ეღობება სურვილის განხორციელებას, სხვაა. ეს მაკონტროლებელი „სხვა“ ადამიანის ცხოვრების დასაწყისში ცოტაა, ზრდის და სოციალიზაციის პროცესში კი ამ „სხვების“ რაოდენობა იზრდება. ზოგიერთ საზოგადოებაში/თემში „სხვა“, შესაძლოა, იყოს ყველა და ყველაფერი, მე-ს გარდა.

ამიტომ, ადამიანს საზოგადოებაში ყოველთვის სჭირდება „სხვები“, რომლებიც საზღვრებს დაუწესებენ მის ლტოლვას თავისუფლებისკენ, ანუ სურვილების აღსრულებისკენ. ისევ და ისევ იმ მიზნით, რომ არ შეფერხდეს სხვების მიერ განხორციელებული ასეთივე სწრაფვა. რაც მთავარია, სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლის სისტემას ზიანი არ უნდა მიადგეს,

არ უნდა დაიშალოს. რატომ? ეს უკვე ვთქვით: სწავლების ამ სისტემის გარეშე ტვინის დეგრადაცია გვემუქრება.

მგონი მიხვდი, რომ ჩვენთვის ევოლუციურად ჩამოყალიბებული „სხვები“ აუცილებელია. ეს „სხვები“ სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა სახელს ირგებს. ის ხან ეკლესიაა, ხან არმია, ხან სამეფო კარი ან ქურუმთა კრება. ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანისთვის კი, „სხვების“ ჩვეული სახელებია გადასახადები, პოლიცია, სასამართლო. მოდი, ჩვენთვის ჩვეულ სხვას „ჩვენი სხვები“ ვუწოდოთ. შემდეგ წერილში ამ „ჩვენს სხვებზე“ მოგწერ.

## წერილი მეექვსე: გადასახადები, პოლიცია, სასამართლო და მმართველობის დონეები

გამარჯობა,

წინა წერილში მოგწერე ისეთ სახელმწიფოზე, რომელიც ჩვენთვის აუცილებელი „სხვაა“ და რომელიც კი არ მეწინააღმდეგება, არამედ მეხმარება სურვილების განხორციელებაში, ანუ თავისუფლებისკენ სწრაფვაში. მოგწერე ასევე გადასახადების შესახებ, და განვმარტე, თუ როგორ არის გადასახადი ჩვენ მიერ გადახდილი ფული ჩვენივე თავისუფლებისათვის, ჩვენივე სურვილების აღსრულების მაქსიმალური შესაძლებლობისათვის. რაკი წინა წერილებში სურვილების აღსრულების სწავლების სულ მცირე, ორი დონე გამოიკვეთა (საზოგადოებრივ/თემური და სახელმწიფო), გადასახადებიც ორნაირი უნდა იყოს: ის, რომლებსაც აწესებს საზოგადოება/თემი და ის, რომელსაც აწესებს სახელმწიფო. საბოლოო ჯამში, ორივე დონის გადასახადი სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლის და

აღსრულების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე უნდა მიიმართოს. შესაბამისად, ორივე გადასახადით მიღებული ფული საკუთარ დონეზე არსებული სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების პრობლემების მოგვარებას უნდა მოხმარდეს.

სახელმწიფო დონეზე ეს საკითხები, ალბათ, არის ქვეყნის უსაფრთხოება (ფართო აზრით, თავდაცვით დაწყებული, ეპიდემიოლოგიით დამთავრებული), სოციალური უზრუნველყოფა (იქ, სადაც საზოგადოება/თემის ფონდები ვერ სწვდება) და მართლწესრიგი. „უსაფრთხოებას“ და „სოციალურ პროგრამებს“ ამ შემთხვევაში მაქსიმალურად ფართო აზრით ვიყენებ: უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შედის არა მარტო არმიის შენახვა, არამედ, მაგალითად, ბიო და სოციალური უსაფრთხოების კვლევა, თავდაცვის უნარის გაუმჯობესება და ამ მიმართულებებით პროგრამების დაფინანსება. სოციალურ პროგრამებში შედის არა მარტო სოციალურად დაუცველების დახმარება ან ჩაგრული სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ მუშაობა, არამედ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებზე ზრუნვა

და მათი მდგომარეობის გამოუჯობესებაზე მიმართული მოქმედებები. მთავარი კრიტერიუმი, გადასახადებით მიღებული თანხის ყველა ამ პრობლემის დასაძლევად გამოყენებისათვის, უნდა იყოს ერთი: იზრდება თუ არა, უმჯობესდება თუ არა ამ მოქმედებით (დაფინანსებით, პროგრამით) ადამიანის შესაძლებლობა, ისწავლოს საკუთარი სურვილების მართვა/იდენტიფიკაცია და განახორციელოს საკუთარი სურვილები? საბოლოოდ, ეს კრიტერიუმი თავისუფლების საზომია, ოღონდ „სურვილების იდენტიფიკაცია/მართვა/განხორციელება“-ზე მოთარგმნით, მას კონკრეტული შინაარსი ეძლევა.

როგორც მსჯელობით ირკვევა, სახელმწიფოს მმართველობითი დონეები იმის მიხედვით უნდა იყოს მოწყობილი, რამდენი და როგორი კონტრიბუცია კეთდება განათლების სისტემის ორგანიზაციებში ამ ორგანიზაციების გამართული და ეფექტიანი მუშაობისთვის. ჯერჯერობით ასეთი ორი დონე გავარკვეთ: საზოგადოება/თემის დონე და სახელმწიფოს დონე. ალბათ, ადეკვატური იქნება, თუკი მმართველობითი სისტემებიც, ანუ „სხვები“, ასევე ორ



დონედ იქნებიან ორგანიზებულები. შესაძლებელია, სახელმწიფოში არსებობდეს ვითარება, როცა განათლების ორგანიზაცია სამ დონეს მოითხოვს; მაშინ, მმართველობითი დონეც სამი უნდა იყოს. მაგალითად, სამი დონე შეიძლება არსებობდეს ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ არეალებში. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საკუთარი თემის იდენტობის ტრანსლაციისათვის, იმისათვის, რომ ამ უმცირესობის თემის მაცხოვრებელს არ გაუჭირდეს საკუთარი სურვილების იდენტიფიცირება და მართვა სამ - უმცირესობის თემის, საზოგადოება/თემის და სახელმწიფო - დონეზე, მმართველობითი დონეც სამი უნდა იყოს.

მმართველობის დონეების ორმაგობა თუ სამმაგობა, ცხადია, გაშუალებული და პირდაპირი არჩევითობით გამოიხატება: საზოგადოება/თემს უნდა ჰყავდეს საკუთარი არჩევითი პოლიცია (ეთნიკური უმცირესობის დონის არსებობის შემთხვევაშიც), რომლის მაკონტროლებელიც იქნება ზედა დონის (საზოგადოება/თემის და სახელმწიფოს) ასევე არჩეული

პოლიციელები. ფუნქციების გაყოფა რთულია, მაგრამ შესაძლებელი. საბოლოოდ კი, მივიღებთ ისეთ პოლიციას, რომელიც მაქსიმალურად იქნება შესაბამისობაში სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების და სურვილების განხორციელების მაქსიმალურ შესაძლებლობასთან.

სასამართლო სისტემასაც იმავე მიდგომით უნდა შევხედოთ: რამდენიცაა სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლების დონე, იმდენივე დონე უნდა ჰქონდეს სასამართლო ხელისუფლებას. პირველი დონე რომ არჩევითი უნდა იყოს, ამაში ეჭვი არ მეპარება. თუმცა შემდეგ დონეებზე შეიძლება არაპირდაპირი არჩევნებიც გამოვიყენოთ.

## წერილი მეშვიდე: კერძო საკუთრება, სახელმწიფო საკუთრება და საზოგადოებრივი საკუთრება

გამარჯობა,

წინა წერილში მოგწერე, თუ როგორი უნდა იყოს განათლების სისტემა იმ ქვეყანაში, რომლის ამოსავალიც პიროვნული თავისუფლების მაქსიმალური უზრუნველყოფაა. წერილმა მიგვიყვანა კითხვამდე, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები. ამ წერილშიც, მსჯელობის დაწყების მიზანია მოვიფიქრო, რა არის ამ დაწესებულებების ფლობის აზრი, სახელმწიფოს, საზოგადოების თუ პიროვნების მხრიდან. მომავალი მსჯელობისას ამოსავალი და კრიტერიუმი, ისევ და ისევ, პიროვნების მიერ საკუთარი სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის მაქსიმალური უზრუნველყოფა უნდა იყოს.

ვფიქრობ, სასწავლებლის კერძო ფლობის აზრი ყველასთვის გასაგებია: ამიტომ, არც შენთვის განვმარტავ

საგანგებოდ იმას, რომ სახელმწიფოში ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, ასწავლოს საკუთარი შეხედულებების მიხედვით (ცხადია, იმ საერთო შეთანხმებების გათვალისწინებით, რომლის შესახებაც წინა წერილებში ვილაპარაკეთ) და ყველა ადამიანს უნდა მიეცეს უფლება, აირჩიოს რომელიმე სწავლება. ცხადია, ეს მოიცავს ანაზღაურების გადახდის და მიღების უფლებასაც. იგივე შეიძლება ითქვას კვლევის შესახებაც: ყველას აქვს უფლება იკვლიოს და მიიღოს ამ კვლევაში ანაზღაურება პირდაპირი ან ირიბი (მაგ. როდესაც კვლევის შედეგებს ასწავლი სტუდენტებს) გზით.

თითქოსდა, ასეთი მიდგომით ყველას საკითხი გვარდება. მაგრამ არსებობს კი იმგვარი ვითარება, ისეც და ისეც, ადამიანის სურვილების აღსრულების შესაძლებლობის მაქსიმალური უზრუნველყოფიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფო შეიძლება ფლობდეს კვლევით ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებას?

სანამ სახელმწიფო საკუთრების დეტალურ განხილვაზე გადავიდოდე, მანამ კერძო საკუთრების სხვა ფორმასაც შევხვით: საზოგადოებას/თემს შეუძლია დაადგინოს კერძო საკუთრების გამოყენების კონკრეტული ფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს მას, ვისაც მაღალფასიან სკოლებში არ შეუძლია დადგენილი ფასის გადახდა, ისწავლოს, სპეციალური საგადასახადო შეღავათის მქონე სკოლებში, რომელიც სწავლებას გააიაფებს. ეს არ ნიშნავს, რომ ამ სკოლებში საგადასახადო შეღავათებით სწავლება ნაკლებად ხარისხიანი იქნება, ვიდრე კერძო სკოლებში: მასწავლებლები იმავე ან მიახლოებულ ხელფასს აიღებენ, როგორც კერძო სკოლების მასწავლებლები, ინფრასტრუქტურაზეც იმდენივე დაიხარჯება, ოღონდ, განსხვავებით კერძო სკოლებისგან, შეღავათიან საგადასახადო რეჟიმში მომუშავე სკოლებში მფლობელები ვერ გაინაწილებენ სკოლის მიერ მოტანილ მოგებას და ვალდებულნი იქნებიან, ეს მოგება ისევ სკოლის განვითარებას მოახმარონ. ცხადია, საზოგადოებამ ამ შემთხვევაში სტატუსის შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები უნდა დააწესოს, რომ არ მოხდეს

მოგების კორუფციული სქემების გამოყენებით განაწილება.

პრინციპში, იგივე ეხება ყველა დაწესებულებას, რომელიც სერვისს ყიდის: თეატრებს, საავადმყოფოებს, კინოთეატრებს, კაფეებს, რესტორნებს, საბავშვო ბაღებს. ამიტომ, მათზე არც აქ და არც შემდეგ წერილებში არ ვილაპარაკებ. აღვნიშნავ მხოლოდ ერთს: საზოგადოებრივი საკუთრება იგივე კერძო საკუთრებაა, რომელიც სპეციალურ საგადასახადო რეჟიმში მუშაობს იმისათვის, რომ პიროვნული თავისუფლების მაქსიმალურად შესაძლებელ განხორციელებას (ანუ სურვილების მართვას და იდენტიფიკაციას) არ შეექმნას წინააღმდეგობა მოქალაქეების დაბალი შემოსავლების გამო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოგების „ჩაბრუნება“ ორგანიზაციაში თვით ამ ორგანიზაციას (მაგ. კლინიკას ან უნივერსიტეტს) მეტ შესაძლებლობას უქმნის განვითარებისათვის, როდესაც, მოგების რეინვესტირება არ არის დამოკიდებული მფლობელის კეთილ ნებაზე, ამ

თუ სხვა საქმეში განახორციელოს ინვესტიცია. კერძო საკუთრების საზოგადოებრივი ფორმა, ამ მხრივ, საკუთარი მიზნების მისაღწევად, ბევრად უფრო სწრაფად და ეფექტიანად განვითარებადია, ვიდრე კერძო საკუთრების კერძო ფორმა. ეს კი უფრო ძლიერ საფუძველს უქმნის პიროვნების სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის როგორც სწავლებას, ასევე მათ განხორციელებას.

საინტერესოა, როგორ უნდა განვიხილოთ ამ ხედვით კერძო საკუთრების მესამე ფორმა - სახელმწიფო საკუთრება? საბოლოო ჯამში, ალბათ უნდა შევთანხმდეთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაც კერძო საკუთრებაა, რომელსაც მესაკუთრე ეცვლება არჩევნების ან რაიმე სხვა გზით. თან ეს მესაკუთრე, ისევე, როგორც კერძო და საზოგადოებრივი ფორმების შემთხვევაში, ძალიან კონტრეტულია სახელმწიფოს მიერ დანიშნული მმართველების სახით.

ცხადია, გესმის, რომ სლოგანი „სახელმწიფო საკუთრება ხალხის საკუთრება“, ტოტალიტარული რეჟიმების მიერ მოგონილია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

სახელმწიფო საკუთრების მესაკუთრის გაურკვეველი და არასტაბილური ბუნება გვკარნახობს, რომ, რაც უფრო მცირე იქნება სახელმწიფო საკუთრება, მით უკეთესი; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია ამ საკუთრების განკარგვის სპეციფიკის და მიმართულების შეცვლა ხელისუფლების ყოველი ცვლილებისას, რაც ცხადია, შეზღუდავს ადამიანების სურვილების განხორციელების შესაძლებლობებს. ამიტომ, ნათელია, რომ სახელმწიფო საკუთრების საზღვრები და გამოყენების წესები მკაცრად და მაქსიმალურად ერთაზროვნად უნდა იყოს განსაზღვრული ქვეყნის კანონებით. მაგალითად, ასეთი საკუთრებაა სახელმწიფო საზღვრები და თავდაცვითი ინფრასტრუქტურა, ქვეყნების საელჩოები, გზები. მაგრამ, რაკი მსჯელობა განათლების დაწესებულებებით დავიწყეთ, უნდა ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა არსებობოდეს რაიმე



მიზეზი, რის გამოც ეს დაწესებულებები სახელმწიფო მფლობელობაში უნდა იყვნენ?

როგორც ზემოთ მოგწერე, ეს მიზეზი ვერ იქნება „უკეთესი განათლება და კვლევა“, იმიტომ, რომ ამ ორივე სერვისის გარემოს და ვითარების ადეკვატური უზრუნველყოფა მხოლოდ კერძო საკუთრების კერძო და საზოგადოებრივ ფორმებს შეუძლიათ. თუმცა არის ერთი სფერო, მიმართულება, სადაც სახელმწიფოს მიერ საკუთრების ფლობა ადეკვატურია და არც მიზნების და მიმართულებების ბევრი ცვლილებაა შესაძლებელი. ესაა ჯანდაცვის და ბიოუსაფრთხოების კვლევა: თანამედროვე სამყარო იმდენ პოტენციურ თუ რეალურ ბიოლოგიურ საფრთხეს შეიცავს, რომ მისი კვლევა თავისუფლად შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც თავდაცვითი ღონისძიება. შეგვიძლია, ისინი სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ იმ აუცილებელი საქმიანობის სიაშიც შევიტანოთ, რომელიც თავისუფლების მაქსიმალური შესაძლებლობის დამცავი მოქმედებაა, იმდენად, რამდენადაც, მაგალითად, ეპიდემიები და სხვა ბიოსაფრთხე ნამდვილად არის სურვილების

განხორციელების შესაძლებლობის შემაკავებელი და შემაფერხებელი.

რაკი ბიოუსაფრთხოებაზე ვმსჯელობთ, უნდა ვახსენოთ ეკოლოგიაც. ეკოლოგიური კატასტროფებიც ხომ თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ძლიერი საფრთხეა და გარემოს სისტემატური კვლევა, ეკოლოგიური მდგომარეობის მხრივ, ცხადია, სახელმწიფოს გამგებლობაში უნდა შედიოდეს. თუკი ასეა, მაშინ, როგორ იქნება ტყეების, ნარკძალების, ნაციონალური პარკების საქმე? ვის საკუთრებაში უნდა იყოს ისინი? ვფიქრობ, საკუთრების ამ ერთეულებზე საკუთრების ყველა ფორმა უნდა იყოს გამოყენებული. ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა განისაზღვროს მთავარი მიზნით: საკუთრების ასეთი ფორმის დადგენა უშლის თუ არა ხელს პიროვნების სურვილების განხორციელების შესაძლებლობის შექმნას? თუ პირიქით, ხელს უწყობს? მაგალითად, ნაციონალურ პარკს, რომელიც, როგორც წესი, საზღვრისპირა რეგიონია, სახელმწიფო უნდა იცავდეს, მაგრამ სულ არაა საჭირო, რომ რეკრეაციული და რესურსების გამოყენების არეალები სახელმწიფო

საკუთრებაში იყოს. შესაბამისი დარეგულირების პირობებში ისინი თავის ფუნქციებს შესანიშნავად შეასრულებენ, როგორც კერძო საკუთრების საზოგადოებრივი და კერძო ფორმების სუბიექტები: კერძო მესაკუთრეზე უკეთ ვინ იცის, როგორ უნდა განვითარდეს რეკრეაციული და გამოყენებითი არეალები ისე, რომ მდგრადობაც იყოს შენარჩუნებული და თან შემოსავალიც მოიტანოს?

ცალკე საკითხია კერძო საკუთრების დაცულობა და საზღვრები: სადამდე უნდა ვრცელდებოდეს დაცვა და საზღვარი? უფრო მართებული იქნება, ასე თუ ვიკითხავთ: როდის განახორციელებს ადამიანი თავის სურვილებს უკეთ, როდესაც მისი საკუთრების საზღვრები უპირობოა თუ როდესაც ისეთ კონკრეტულ პარამეტრებს ექვემდებარება, რომელიც შეიძლება მმართველებმა შეცვალონ? მაგალითად მოვიყვანოთ მიწა, რომელსაც ის ფლობს: ეს მიწა მისია დედამიწის გულამდე თუ მესაკუთრე მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე ფლობს მას? ანდა, შესაძლებელია თუ არა

საკუთრების უფლების ჩამორთმევა, თუკი მესაკუთრე ამის წინააღმდეგია?

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც არკვევს, სურვილების იდენტიფიცირების, მართვის და განხორციელების რა ტიპის კანონებია სახელმწიფოში, არის სამართლებრივი დამოკიდებულება კერძო საკუთრებასთან: რაც მეტი კანონი იცავს კერძო საკუთრებას და რაც უფრო ფართოა კერძო საკუთრების ცნება, მით უფრო მეტადაა სახელმწიფო ორიენტირებული პიროვნების მიერ საკუთარი სურვილების განხორციელების შესაძლებლობების შექმნაზე და პირიქით - რაც უფრო მეტ საგანზე, ნივთზეა შესაძლებელი სახელმწიფო საკუთრება, მით უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი სურვილების განხორციელება. რატომ? პასუხი მარტივია: რაც უფრო მეტად შეუძლია პიროვნებას საკუთარი სურვილების განხორციელება, ხოლო კერძო საკუთრება სურვილების განხორციელების მთავარი ფორმაა, მით უფრო მეტადაა შესაძლებელი თავისუფლება.

შემდეგ წერილში, რაკი ამ წერილის მსჯელობით ქვეყნის საზღვარს მივადექით, საგარეო პოლიტიკაზე ვილაპარაკოთ.

## წერილი მერვე: საგარეო პოლიტიკა

გამარჯობა,

წინა წერილში მოგწერე კერძო საკუთრების შესახებ, როგორ უწყობს ხელს სურვილების იდენტიფიკაციას და მართვას კერძო საკუთრების კერძო და საზოგადოებრივი ფორმები, და რატომ უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება, რაც შეიძლება, მცირე. ასევე მოგწერე, თუ რატომ უნდა იყოს კერძო საკუთრების ფლობა მაქსიმალურად უპირობო და შეუზღუდავი - კერძო საკუთრება სურვილების განხორციელების მთავარი ფორმაა. ამჯერად ვაპირებ, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე მოგწერო.

რას ნიშნავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ადამიანის სურვილების განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობის უზრუნველყოფის მხრივ? ცხადია, პირველი, რაც ასეთ დროს მოგვდის თავში, ღია საზღვრებია, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს შეეძლოს

მისთვის სასურველ ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილება და ამ საზღვრების დაცვა არასასურველი შემომსვლელებისგან.

ამ ფუნქციის განხორციელება ნიშნავს საელჩოებს უცხო ქვეყნებში, მრავალი ტიპის ხელშეკრულების დადებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. მაგრამ, მაგრამ, ამ ჩამონათვალის გარდა, არის კიდევ ორი რამ, რაც ქვეყნის მოქალაქეების სურვილების განხორციელების მაქსიმალურ შესაძლებლობას განაპირობებს. ესენია სამხედრო და ეკონომიკური კავშირები: სამხედრო კავშირი იცავს ქვეყნის მოქალაქეს ძლიერი მტრის ინტერვენციისაგან, რაკი ეს უკანასკნელი უპირობოდ არღვევს და აუქმებს მისი სურვილების განხორციელების შესაძლებლობას, ხოლო ეკონომიკური მყარი, მდგრადი კავშირი ქვეყნის მოქალაქეს უქმნის შესაძლებლობას, იყოს შეძლებული, ანუ ზრდის მისი სურვილების განხორციელების შესაძლებლობას.

ამიტომ, საგარეო პოლიტიკის აქტორების მოვალეობა იმ სახელმწიფოში, რომელიც ორიენტირებულია და რომლის უპირველესი ამოცანაა, შეუქმნას საკუთარ მოქალაქეებს სურვილების იდენტიფიკაციის, მართვის და განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობები, სამია: 1. უვიზო მოგზაურობის და საზღვარგარეთ მუშაობის უფლებების მაქსიმალური უზრუნველყოფა; 2. თავდაცვისათვის სამხედრო ალიანსების შექმნა; 3. რაც შეიძლება, მეტ ქვეყანასთან მდგრადი ეკონომიკური კავშირების დამყარება.

ცხადია, სამხედრო ალიანსები ისეთ ქვეყნებთან უნდა შეიქმნას, რომელთა მიზნებიც სურვილების უზრუნველყოფის მაქსიმალური შესაძლებლობების შექმნაზე ორიენტირებული ქვეყნის მიზნების მსგავსია. რაც შეეხება, ეკონომიკური კავშირების მრავალფეროვნებას, ასეთი კავშირები, ჯერ ერთი, საშუალებას აძლევს ქვეყნის მოქალაქეს, ფართოდ და მომგებიანად განახორციელოს საკუთარი საქმიანობა, არ შეიზღუდოს მხოლოდ ერთი ან ორი ქვეყნით, მეორე მხრივ კი, ქვეყნის და მისი მოქალაქის უსაფრთხოების



გარანტს ქმნის: რაც მეტი მოქალაქე იქნება ჩართული სხვა ქვეყნების ეკონომიკაში, მით უფრო მეტი უსაფრთხოება იქნება ქვეყნისთვისაც და ამ ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეებისთვისაც.

მკითხველო, აქამდე ამ წერილებში, თითქოსდა, ყველაფერს შევებე, რაც სახელმწიფო მოწყობაზე შეიძლებოდა გვეთქვა, თუკი სახელმწიფოს ადამიანის სურვილების განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობის შექმნას დავუდებდით საფუძვლად. შემდეგ წერილში მოგწერ სახელმწიფოს საარჩევნო სისტემის შესახებ: რა და როგორი ტიპის პროცედურებით უნდა წარიმართოს ის არჩევნები, რომლებიც თანამედროვე სამყაროში შექმნიან იმ სახელმწიფოს, რომელიც პიროვნების სურვილების განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობის უზრუნველყოფას დაეყრდნობა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წერილებში ქვეყნის მოწყობის ყველა დონეზე არჩევითობის აუცილებლობის შესახებ ბევრი ვისაუბრეთ, ვფიქრობ, სამყარო ახალ შესაძლებლობებთან ერთად ახალ გამოწვევებსაც გვთავაზობს. ამიტომ, მათი

უყურადღებოდ დატოვება ნაკლულად აქცევს ჩვენს წარმოდგენებს საუკეთესო სახელმწიფოს შესახებ.

## წერილი მეცხრე: არჩევნები და ხელისუფლებები

გამარჯობა,

მიუხედავად იმისა, რომ წინა წერილებში აღწერილი სახელმწიფო, რომელიც ადამიანის სურვილების განხორციელების მაქსიმალურ შესაძლებლობას ეფუძნება, შეიძლება არსებულ, ჩვენთვის ჩვეულ საარჩევნო და საკანონმდებლო-აღმასრულებელ-სასამართლო ხელისუფლებებში მოთავსდეს, თანამედროვეობა გვთვაზობს ბევრად უფრო მოქნილ და წარმატებულ პერსპექტივას, რომელიც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ.

პარლამენტის, ხელისუფლების შტოების და მსგავსი ფენომენების წარმოშობა დაკავშირებულია წარმომადგენლობითობის და ძალაუფლების კონტროლის პრობლემებთან: თუკი გვინდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ხმის უფლების მქონე მოქალაქეების მეტ-ნაკლებად სრული გამომხატველი იყოს, მაშინ ჯერ უნდა ავირჩიოთ ის ხალხი, ვინც მათ

აირჩევს და შემდეგ ვაკონტროლოთ ისინი სასამართლოთი, მედიით, შემდგომი არჩევნებით და ა.შ. ეს ყველამ ვიცით. მაგრამ, თუკი გვეტყვიან, რომ თანამედროვე ტექნოლოგია იძლევა საშუალებას, მოქალაქემ, ხმის უფლების მქონე სუბიექტმა, პირდაპირ აირჩიოს და შემდეგ აკონტროლოს მთავრობის და სასამართლოს წევრი? რა იქნება მაშინ? რა საჭიროა, გაჩნდეს კიდეც ვიღაც გამაშუალებელი ამომრჩეველსა და მთავრობის წევრს/მოსამართლეს შორის? ასეთი სისტემა ნამდვილად არის პიროვნების მაქსიმალური თავისუფლების შესაძლებლობის ხელშემწყობი, როგორც საზოგადოება/თემის, ასევე ქვეყნის დონეზე. ამის წაკითხვის შემდეგ იკითხავთ: კი მაგრამ, უზურპაცია? კონტროლის შესუსტება? კორუფცია? საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გაყოფა?

უზურპაცია და კორუფცია ნაკლებად სავარაუდოა, თუკი მთავრობის წევრის გადარჩევა ტექნოლოგიურად იქნება უზრუნველყოფილი. მაგალითისთვის წარმოვიდგინოთ ასეთი ვითარება: თქვენ ხმას ელექტრონულად აძლევთ კონკრეტულ კანდიდატს. ის, რომ თქვენ ამ კანდიდატს

დადებითი ხმა მიეცით, ფიქსირდება ანონიმურად დიდ, კარგად დაცულ და დეცენტრალიზებულ სისტემაში. შემდეგ, როცა კანდიდატი გახდება მინისტრი, ჩაერთვება გადარჩევის, გაწვევის ბლოკი, რომელიც მხოლოდ იმათ უარყოფით ხმებს დააფიქსირებს, რომლებმაც ამ მინისტრს დადებითი ხმა მისცეს. როგორც კი უარყოფითი ხმების რაოდენობა საერთო დადებითი ხმების 2/3-ს გადააჭარბებს, მინისტრი ავტომატურად გაიწვევა თანამდებობიდან. მისი ადგილი შეიძლება მეორე ადგილზე გასულმა კანდიდატმა დაიკავოს (რომელიც ამ დროისათვის, შეიძლება, მინისტრის მოადგილის თანამდებობაზეც იყოს) და ა.შ. ზემოაღწერილი მხოლოდ მაგალითია. შესაძლებელია ბევრი სხვადასხვა სისტემის მოფიქრება. თანამედროვე ტექნოლოგია ამისათვის თითქმის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს იძლევა.

ასეთი არჩევნებისას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს სოციალურ მედიას, რადგან საარჩევნო კამპანიები ძირითადად სოციალურ მედიაში იწარმოებს. ამ სისტემაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტრადიციულმა

დიაქრონულმა მედიამ შეინარჩუნოს ჩვეული ადგილი და მნიშვნელობა.

რაც შეეხება მოსამართლეებს, ვფიქრობ, ისინი უვადოდ უნდა იყვნენ არჩეულები, გაწვევის უფლების გარეშე. ოღონდ, უნდა არსებობდეს არჩევის სხვადასხვა დონე: საზოგადოებები და თემები თავიანთ მოსამართლეებს უნდა ირჩევდნენ. ხოლო, ამ უკანასკნელთა მაკონტროლებლები (ქვეყნის დონეზე) - ალბათ საერთო წესით უნდა აირჩეოდნენ.

ბუნებრივია, იკითხავ, სად გაქრა კანონსემოქმედება. პასუხად გეტყვი, რომ პირდაპირი წესით არჩეული ათი ან თორმეტი ადამიანი უკეთ გაართმევს თავს კანონების წერას, ვიდრე დღეს არსებული სისტემით არჩეული პარლამენტები, მით უმეტეს, თუკი გაწვევის მექანიზმიც იარსებებს. ცხადია, ეს სისტემა გულისხმობს საზოგადოებების/თემების მმართველობის პირდაპირ არჩევასაც.

არც ის არის ვინმესთვის დასამალი, რომ დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემის მიხედვით, არა მარტო საქართველოში, არამედ გლობალურადაც, ხმას არა იმდენად იდეოლოგიებს, არამედ კონკრეტულ პროექტებს აძლევენ, რომლის განმახორციელებლებიც კონკრეტული ადამიანები არიან. მაშინ რაღა საჭიროა ეს შლეიფი, საკანონმდებლო ხელისუფლების სახით?

დეტალები, რა თქმა უნდა, დასამუშავებელია. მაგალითად, რა ფუქციები ექნება პრეზიდენტს, სადამდე გაფართოვდება/დაზუსტდება სასამართლოს უფლებები და ა.შ. თუმცა ჩემთვის ერთი რამ ცხადია: თუკი ვფიქრობთ სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე სისტემაზე, არ გავითვალისწინოთ ტექნოლოგიური განვითარების და მოცემულობის კონტექსტი, უაზრობაა და კონტრპროდუქტიული: ტექნოლოგიური განვითარება ავითარებს სოციალურ სისტემას. სახელმწიფო მართვის სისტემა კი ისეთივეა, როგორც სამი-ოთხი საუკუნის წინანდელი სოციალური სისტემების დროს იყო. თუკი ყოველთვის და გარდაუვლად არ გავითვალისწინებთ ტექნოლოგიურ

მოცემულობას, მოძველებულ და არაეფექტიან სისტემას მივიღებთ.

რას მოგვცემს ასეთი სისტემა? ჩვენ მივიღებთ: 1. მთავრობაზე დანახარჯების შემცირებას; 2. მთავრობის პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულობის გაზრდას; 3. ამომრჩევლის მეტ წვდომას მთავრობაზე; 4. სურვილების იდენტიფიკაციის, მართვის და განხორციელების შესაძლებლობების გაზრდას ქვეყანაში: თუკი მინისტრთა გაწვევის მექანიზმი იმუშავებს, ყველა მინისტრი ორიენტირებული იქნება იმაზე, რაც შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა დააკისროს საზოგადოებას და ნაკლები პასუხისმგებლობა დაიტოვოს (რაც მეტი პასუხისმგებლობა აქვს მინისტრს, მით მეტი უკმაყოფილო ამომრჩეველი ეყოლება და მით მეტია მისი გაწვევის შანსი) და მხოლოდ დამარეგულირებელ/გამაუმჯობესებლის ფუნქცია ჰქონდეს; 5. ეკონომიკის სწრაფ ზრდას, რაც საბოლოო ჯამში, ყოველ მოქალაქეზე აისახება. შედეგად, ყოველი მომდევნო არჩევნების შედეგად უფრო და უფრო კარგი მთავრობა და სასამართლო გვეყოლება.



და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: იქნებ, სიტყვა „მინისტრს“ დაუბრუნდეს პირვანდელი მნიშვნელობა და ქვეყნის/სფეროს მმართველის გაუმართლებელი კონოტაცია ისევ „მსახურის“ ან „მომსახურის“ შინაარსმა შეცვალოს. ეს კი სრულიად მოსალოდნელია, რამდენადაც ამ სისტემაში მთავრობის წევრის დაქირავებაც და დათხოვნაც რეალური და ხელშესახები გახდება.

ამ, ახალი სისტემის დანერგვის შემდეგ, სავარაუდოა, რომ პოლიტიკური პარტიები შეწყვეტენ არსებობას ან მთლიანად, ან ახლანდელი ფორმით. როდესაც მთელი პარტიის მუშაობის შედეგი ათი-თორმეტი ადამიანის თანამდებობაა, თან პარტიის მიერ ფორმალურად/რეალურად გაუკონტროლებელი თანამდებობა, საეჭვოა, ამ სისტემამ ბევრ ადამიანში გამოიწვიოს პარტიის წევრობის ენთუზიაზმი.

წარმომადგენლობით დემოკრატიაზე ქვეყნის მიერ დღეს გაწეული ხარჯები გაბერილი და უაზროა. მართლაც, რა

საჭიროა წარმომადგენლობითობა და ამდენი დანახარჯი, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიები პირდაპირი დემოკრატიის საშუალებას იძლევა?

რამდენი უაზრო სისტემა/ქვესისტემა გაუქმდებოდა, თუნდაც საქართველოში, რამდენ ადამიანს მიეცემოდა შესაძლებლობა, აღარ ეფიქრა „იოლი გზით“ წარმატების მოპოვებაზე, აღარ ემუშავა დამლუპველი ბიუროკრატიის შენარჩუნებაზე და საკუთარი ინტელექტი კერძო/საზოგადოებრივ საქმეზე და განვითარებაზე მიემართა.

## წერილი მეათე: მკითხველს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს

გამარჯობა,

აქამდე რაც მოგწერე, მიმართული იყო იმ მთავარ საკითხზე, თუ რას უნდა დაეფუძნოს თანამედროვე სახელმწიფო. მსჯელობით გაირკვა, რომ სახელმწიფოს ამოსავალი და საფუძველი უნდა იყოს ადამიანის სურვილების ინდეტიფიკაციის და მართვის სწავლების და მათი განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. უთუოდ გსმენია, რომ სახელმწიფოს „ბუნება“ რეპრესიულია და ის მიმართულია ადამიანის თავისუფლების წინააღმდეგ; რომ ადამიანს აქვს რაღაც „ბუნებითი“ უფლებები და სახელმწიფო რომ არა, ადამიანები ერთმანეთს ამოჟლიტავდნენ; რომ სახელმწიფო სულ არ არის აუცილებელი ადამიანის არსებობისათვის... და სხვადასხვა დრამატული თუ ნაკლებად დრამატული იდეების შესახებ. ჩვენმა მსჯელობამ გამოარკვია ისიც, რომ ყველა ეს დებულება

უსაფუძვლოა და უფრო უმსჯელობაზე დამყარებულ ფიქრს წარმოადგენს, ვიდრე საკითხში კრიტიკული გარკვევის მცდელობას.

ადამიანი არ იბადება არც თავისუფალი და არც რაიმე უფლებებით. ის იბადება, როგორც სურვილების კომპლექსი. საზოგადოება/თემი იმისთვის არსებობს, რომ ასწავლოს ადამიანს საკუთარი სურვილების მართვა/იდენტიფიკაცია და საბოლოოდ, ასწავლოს მას, როგორ უნდა მიაღწიოს საკუთარი სურვილების შესრულებას ისე, რომ არც საკუთარი თავი და არც სხვა არ დააზიანოს. სახელმწიფომ უნდა იარსებოს იმისათვის, რომ ყოველი მოქალაქის სურვილების განხორციელება მაქსიმალურად შესაძლებელი გახადოს.

სახელმწიფოს მოწყობა, თუკი სახელმწიფოს ადამიანის სურვილების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფის იდეაზე დავაფუძნებთ, ადვილდება: სახელმწიფო უნდა მოეწყოს იმ ერთეულების მიხედვით, სადაც სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლება მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან სოციალურ,

გეოგრაფიულ და კულტურულ გარემოში ხდება. შესაბამისად, სახელმწიფოს შემადგენელი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული უნდა განისაზღვროს სასკოლო (სურვილების იდენტიფიკაციის და მართვის სწავლის) სოციალურ-გეოგრაფიული ტიპოლოგიით - სასკოლო ქსელით, რომელშიც სკოლები ერთ გეოგრაფიულ და კულტურულ გარემოში თავსდებათ ისე, რომ ეს გარემო არ დაიყვანება უფრო პატარა, იმავე მახასიათებლების მქონე გარემოზე.

ამ ყველაფრის შესახებ წინა წერილებშიც მოგწერე. ამჯერად, მინდა ჩამოგიტვალო, თუ რა არის ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს სახელმწიფოში, ისეთი, რაც მიგვითითებს, რომ ეს ქვეყანა ნაწილობრივ მაინც არის ორიენტირებული ადამიანის სურვილების განხორციელების შესაძლებლობების შექმნაზე:

- საზოგადოებები და თემები: კანონმდებლობის დონეზე თითქოს არსებობს თვითმმართველობა, თუმცა, საზოგადოებები და თემები იმართებიან ცენტრალური ხელისუფლებისგან. ადგილობრივ

თვითმმართველობებს, არჩევის შემთხვევაშიც კი, მიზერული უფლებები აქვთ. ყველაფერი წყდება თბილისში ან თბილისის მიერ დანიშნული გუბერნატორების ოფისებში;

- გადასახადების შემოღება და ადმინისტრირება უკიდურესად ცენტრალიზებულია. ყველაფერი მიედინება ცენტრში და მერე იქიდან ნაწილდება ქვეყნის მმართველების ნებით;
- განათლების და კვლევის სისტემა: რამდენიმე საკანონმდებლო ფაქტის, რომლებიც თითქოს დეცენტრალიზაციისკენაა მიმართული, მიუხედავად, სახელმწიფო სკოლების და უნივერსიტეტების მართვა ცენტრალიზებულია. ფაქტობრივად, თემს და ადგილობრივ საზოგადოებას არ აქვს გადაწყვეტილების მიღების საშუალება - კერძო სასწავლო/კვლევითი დაწესებულებებიც იმდენადაა გახვეული სახელმწიფო კონტროლში, რომ მხოლოდ იურიდიული ფორმით მინიჭებული ფინანსური

პრივილეგიები თუ ასხვავებს მათ სახელმწიფო სისტემის ნაწილებიდან;

- საკუთრება: მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრება ასე თუ ისე დაცულია კანონით, საზოგადოებრივი საკუთრება არ არსებობს. საკუთრება გადანაწილებულია კერძო საკუთრების კერძო და სახელმწიფო ფორმებს შორის. სახელმწიფო საკუთრება, კერძოსთან შედარებით, განუზომლად დიდია. თავის მხრივ, კერძო საკუთრების სიმცირე და საზოგადოებრივი საკუთრების არარსებობა ადგილს არ ტოვებს ინოვაციური აზროვნებისათვის;
- საგარეო პოლიტიკის ორიენტირები და სტრატეგია გაურკვეველია: გაუგებარია, რატომ მოქმედებენ ქვეყნის საგარეო აქტორები ასე და არა სხვაგვარად;

- არჩევნები და ხელისუფლებები: მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ქვეყანაში დემოკრატიული სისტემაა, ძალიან ბევრი დანიშნითი თანამდებობაა, როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში. ეს კი ისედაც არაპროდუქტიულ სისტემას კონტროლდუქტიულად აქცევს.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში, არ არის არაფერი, რომელიც ან საზოგადოების, ან თემის, ან სახელმწიფოს დონეზე ემსახურება პიროვნების სურვილების განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობების შექმნას. უბრალოდ, არაფერი. არადა, მსჯელობისას ვნახეთ, თუ როგორი სახელმწიფო შეიძლება აიგოს, თუკი ნებისმიერი გადაწყვეტილების/სისტემის შექმნის მთავარი კრიტერიუმი და კითხვა იქნება: ეხმარება ეს გადაწყვეტილება ადამიანის სურვილების განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობის შექმნას თუ პირიქით, ხელს უშლის?



შენდამი მოწერილ წერილებში მსჯელობით მივედი დასკვნამდე, რომ სახელმწიფო, რომელიც ემყარება ადამიანის სურვილების განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობის შექმნას, არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც. მხოლოდ ასე მიიღწევა ქვეყნის მაქსიმალური უსაფრთხოება და ქვეყნის, როგორც დასაცველი იდეის და ტერიტორიის, შექმნა: თუკი სახელმწიფო უკიდურესად ცენტრალიზებულია, ისევე, როგორც საქართველო, რატომ გაუჩნდება, მაგალითად, მის პერიფერიაზე, რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეს მისი დაცვის სურვილი, თუკი ოკუპანტი, პრინციპში, იმავე სისტემას შესთავაზებს და მისთვის არაფერი შეიცვლება? ცხადია, ყოველთვის არსებობენ ისეთი მოქალაქეებიც, რომლებიც მაინც დაიცავენ ქვეყანას იდეის და ისტორიის გამო, მაგრამ, როგორც ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, ასეთი ხალხი ძალიან ცოტაა.

იმედი მაქვს, არ მოგწყინდა ამ წერილების კითხვა. ვფიქრობ, დაგარწმუნე, რომ მხოლოდ ადამიანის სურვილების იდენტიფიკაციის, მართვის და

განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობის შექმნაა ხედვის ის საწყისი წერტილი, საიდანაც შეგვიძლია დავიწყოთ ფიქრი თანამედროვე სახელმწიფოს მოწყობის, მისი მომავლის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის შესახებ.